



შემოსავლების
სამსახური

გზამკვლევი

მოგების გადასახადის ყოველთვიური
დეკლარაცია

ურთიერთობა მარტივია

ვის ევალება მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენა?

მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს:

- ▶ რეზიდენტი სანარმო, აგრეთვე არარეზიდენტი სანარმო (საქართველოში საქმიანობს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით), რომლებიც მოგების გადასახადით მოგების განაწილებისას იბეგრება;
- ▶ ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა;
- ▶ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორი, რომლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის მიერ მიღებული მოგებისა;
- ▶ სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ორგანიზატორი, რომლის აღნიშნული საქმიანობის ნაწილში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, რომელიც იბეგრება 20%-იანი განაკვეთით, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტულ თამაშობებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობის შედეგად მიღებული მოგებისა;
- ▶ სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორი, რომელიც მოგებას იღებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების თამაშობებში მონაწილეობის შედეგად და რომლის აღნიშნული საქმიანობის ნაწილში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მქონე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და ამ მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, რომელიც იბეგრება 5%-იანი განაკვეთით.

რუ ვადაში ხდება დეკლარაციის წარდგენა და გადასახადის გადახდა?

სანარმო მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდის მოგების გადასახადს.

რუ არის რეზიდენტი სანარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტები, რომელიც უნდა აისახოს დეკლარაციაში?

რეზიდენტი სანარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

I. განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება - მოგება, რომელიც სანარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

მოგების განაწილებად განიხილება აგრეთვე ურთიერთდამოკიდებულ პირთან (გარდა იმ პირისა, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება მოგების განაწილებისას), ასევე მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაციების შედეგად საბაზრო ფასებთან შედარებით მიუღებელი შემოსავალი ან ზედმეტად გაწეული ხარჯი;

მოგების განაწილებად არ განიხილება:

- ▶ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ პირობებში (გარდა ინდივიდუალური სანარმოსი) დივიდენდის განაწილება, გარდა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირობებში, კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე და სესხის გამცემ სუბიექტზე დივიდენდის განაწილებისა;
- ▶ სანარმოს მიერ უცხოური სანარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება.

სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში მოგების განაწილებად განიხილება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან სადაზღვევო ორგანიზაციაზე დივიდენდის განაწილება.

II. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მათ შორის დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან სასაქონლო ზედნადების გარეშე შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ამ გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;

მოგების გადასახადით იბეგრება აგრეთვე:

შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული ან/და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული:

- ▶ პირისათვის განხორციელებული გადახდა, რომელიც უკავშირდება მათ მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შექმნას;
- ▶ პირისათვის გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;
- ▶ პირისათვის გადახდილი ავანსი;
- ▶ პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ▶ პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით წარმოშობილი ზარალი;
- ▶ არარეზიდენტის ან/და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანი ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ▶ ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა ან/და პარტნიორი ფიზიკური პირის ან პარტნიორი არარეზიდენტის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

III. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, გარდა:

- კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რომელიც არ აღემატება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრილია გადახდის წყაროსთან;
- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
- თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ განწევა;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით.

შენიშვნა:
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად.

IV. წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის/განწეული ხარჯის (თუ განწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს) 1 %-ს.

რა არის არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დანახავულების მეშვეობით ახორციელებს, მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი?

არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დანესებულებისათვის:
 ► განაწილებულ მოგებად ითვლება ამ მუდმივი დანესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი (არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დანესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა);
 ► მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია მისი მუდმივი დანესებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ამ არარეზიდენტი საწარმოს ან მუდმივი დანესებულების მიერ განხორციელებული განაცემი/განწეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია.

რა არის ორგანიზაციისათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტები, რომელიც უნდა აისახოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დაკლარაციაში?

ორგანიზაციისათვის, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია:
 - განწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან);
 - უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;
 - ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

რამდენს შიდადენს მოგების გადასახადის განაკვეთი და როგორ იანგარიშება მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა?

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებულ განაცემის/განუღი ხარჯის ოდენობის 0 85-ზე გაყოფის შედეგად.

მოგების გადასახადი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დაბეგვრის ობიექტი}}{0,85} \times 15\%$$

როგორ განისაზღვრება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი არაფულადი ფორმით გადახდების/განაცემების განხორციელებისას?

გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/განუღი მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე.

როდის იბეგრება განუღი ხარჯი ან განხორციელებული განაცემა?

ხარჯები და სხვა გადახდები/განაცემები მოგების გადასახადით იბეგრება იმ საანგარიშო თვეში, როცა დადგა მათი ფაქტობრივი განუღის/განხორციელების მომენტი.

როგელ სანარმოზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათი?

მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია ცალკეულ შემთხვევებში მიღებული მოგების განაწილება/განუღი ხარჯი/განხორციელებული განაცემა. მათ შორის:

- ▶ თიზ-ის სანარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განუღი ხარჯები/განხორციელებული განაცემები;
- ▶ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განუღი ხარჯები/განხორციელებული განაცემები;
- ▶ მაღალმთიანი დასახლების სანარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განუღი ხარჯები/განხორციელებული განაცემები – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

რა შემთხვევაში და რა ოდენობით შეიძლება წარმოქმნას პირს ჩასათვლელი მოგების გადასახადი?

ჩასათვლელი მოგების გადასახადი შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი ოდენობით იმ შემთხვევაში თუ:

- ▶ რეზიდენტი სანარმო ანაწილებს დივიდენდს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა იმ პროპორციით რომელიც განისაზღვრება განაწილებული დივიდენდის წილით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებულ წმინდა მოგებაში, მაგრამ არაუმეტეს განაწილებული დივიდენდის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა;
- ▶ სადაზღვევო ორგანიზაცია ანაწილებს დივიდენდს 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა იმ პროპორციით, რომელიც განისაზღვრება განაწილებული დივიდენდის წილით 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებულ წმინდა მოგებაში, მაგრამ არაუმეტეს განაწილებული დივიდენდის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა;
- ▶ შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, აქციის/წილის ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად განხორციელდა ანაზღაურება (თანხის ფაქტობრივად მიღება) - თანხის მიღების საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით;
- ▶ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება - სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით;
- ▶ გაუქმდა სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა - უზრუნველყოფის გაუქმების საანგარიშო პერიოდში გაუქმებული საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით.

შენიშვნა: ჩათვლის უფლება გამოიყენება საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხულ მოგების გადასახადთან მიმართებაშიც.

რა შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართ N1¹-ს?

დეკლარაციის III ნაწილის დანართი N1¹ ივსება სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სხვა შემთხვევაში - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ▶ სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სხვა შემთხვევაში - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ; ან/და;
- ▶ სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სხვა შემთხვევაში - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

შენიშვნა: ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით, დანართი ივსება გემოაღნიშნული შემთხვევების დადგომის საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

რა შემთხვევაში ავსებს პირი, მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართ N 1²-ს?

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N 1² ივსება შემდეგი შემთხვევის დადგომისას:

- ▶ შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდებისას;
- ▶ გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნებისას ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღებისას;
- ▶ სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გაუქმებისას;

გადასახადის გადამხდელი დანართში აირჩევს საანგარიშო პერიოდს შესაბამისი გრაფის მითითებით, სადაც დაიბეგრა თანხა, ასევე შესამცირებელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნით დანართ N 1²-ში ეთითება დაბეგრული თანხა, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადიც ექვემდებარება შემცირებას (დაბრუნებას) საანგარიშო პერიოდში.

რა შემთხვევაში ივსება მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N 1³ და დანართი N 1⁴ ?

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N 1³ ივსება საწარმოს მიერ კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსის დაკარგვის შემდგომ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდ(ებ)ში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხის გამოანგარიშების, ხოლო დანართი N 1⁴ - ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით.

ამასთან, ჩასათვლელი თანხის კორექტირების ფაქტი შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგ შემთხვევებში:

- 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ, ან/და
- 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

რე შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართ N1⁵-ს?

დეკლარაციის III ნაწილის დანართი 15 ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგრილი თანხის შესაბამისი მოგების გადასახადი ექვემდებარება შემცირებას (დაბრუნებას) საანგარიშო პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში დეკლარაციაში აისახება საგადასახადო მოთხოვნის ნომერი, თარიღი და ის თანხა, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას.

რე შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართ N2-ს?

დეკლარაციის III ნაწილის დანართი N2 ივსება მარტის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში და მასში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი და ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ბასს-ის მიხედვით).

რე შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის IV ნაწილს?

დეკლარაციის IV ნაწილი ივსება:

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად მიღებული დასაბეგრი მოგებისა) საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამის მიხედვით, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით.
- სათამაშო აპარატების სალონის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზების შემთხვევაში, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის შედეგად მიღებული დასაბეგრი მოგებისა) საანგარიშო თვის განმავლობაში მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობის მიხედვით, რომელიც იბეგრება 20%-იანი განაკვეთით.

- უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და ამ მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობის მიხედვით, რომელიც იბეგრება 5%-იანი განაკვეთით.

შენიშვნა: თუ პირი სათამაშო ბიზნესის გარდა სხვა საქმიანობას არ ახორციელებს, მათ, შორის არ ახდენს სხვა პირისაგან მიღებული დივიდენდის შემდგომ განაწილებას, იგი დეკლარაციის III ნაწილს არ ავსებს.



ყურადღება: ამომწურავი ინფორმაცია გადასახადით დაბეგვრის ობიექტებისა და ჩასათვლელი გადასახადის შესახებ იხილეთ საგადასახადო კოდექსის 97-98⁴ მუხლებში.

(დეკლარაციის შევსების დეტალური ინსტრუქცია მოცემულია დეკლარაციის მოდულში)

გზამკვლევიში წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია 2025 წლის 20 იანვრისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

 2 299 299

 www.rs.ge